

შპს „თეგეტა აკადემია“

თბილისი

15.08.2018

ბრძანება N 012

შპს „თეგეტა აკადემიის“ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენებისა და უტილიზაციის წესის დამტკიცების შესახებ

შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „შპს „თეგეტა აკადემიის“ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენებისა და უტილიზაციის წესი“ დანართი N1-ის შესაბამისად;
2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ლია ბერუაშვილი



შპს „თეგეტა აკადემიის“  
დირექტორის 15/08/2018 წლის N 02 ბრძანების  
დანართი N1

შპს „თეგეტა აკადემია“

შპს „თეგეტა აკადემიის“ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის შენახვის,  
გამოყენებისა და უტილიზაციის წესი

ქ. თბილისი

2018 წელი

**მუხლი 1. სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი/გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და აღრიცხვის პროცედურა**

1. შპს „თეგეტა აკადემიაში“ (შემდგომში „აკადემია“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების სრულფასოვნად განხორციელებისთვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, აკადემია ახდენს აღნიშნული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას სასწავლო პროცესის დაწყებამდე.
2. თუ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, აკადემია მასალებისა და ნედლეულის შექმნას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს, რადგან ამ ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით ევალება პრაქტიკის ობიექტს;
3. მასალებისა და ნედლეულის შექმნისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გამოყენების მომენტისათვის მათი ვარგისიანობის ვადა;
4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება მათი შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვით;
5. სასწავლო პროცესის დასრულებისას მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

**მუხლი 2. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი**

1. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს აკადემიაში.
2. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის დაკვირვების ფორმები და სხვა, გარდა შეფასების უწყისებისა) ინახება შექმნიდან პროგრამის დასრულების, კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის;
3. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება შექმნიდან პროგრამის დასრულების, კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
4. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი, ნახაზი და სხვა) ინახება შექმნიდან პროგრამის დასრულების, კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რის შემდეგაც შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისათვის;
5. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

**მუხლი. 3. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია**

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებისა და წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში

უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიაღვეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;

2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აკადემიის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

#### **მუხლი 4. კონტროლი და პასუხისმგებლობა**

1. წინამდებარე წესით განსაზღვრული დებულებების შესრულების კონტროლი ეკისრება დაწესებულების დირექტორის მოადგილეს, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

#### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. „შპს „თეგეტა აკადემიის“ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენებისა და უტილიზაციის წესის“ გაუქმება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.